



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 29-30 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 29 ივლისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული მეცნიერება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული, სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე, სსიპ- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კონსტანტინე ებრალიძე, შპს- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ დაგეგმილია, რომ განხორციელდეს „ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა“ სკოლაში. წარმოდგენილი პროგრამა ახალია, შესაბამისად, აკრედიტაცია არ აქვს მიღებული.

პროგრამის განხორციელების ენა არის ქართული. სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - **კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი (0613)**. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი): სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა 60 კრედიტი; არჩევითი საგნები 30 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (Information and Communication Technologies ICT) დარგის თანამედროვე მიღწევებს, ამზადებს სპეციალისტებს კომპიუტერული მეცნიერების კვალიფიკაციით, რომლებიც კონკურენტუნარიანები არიან შრომით ბაზარზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 29-30 ივნისს. 28 ივნისს განხორციელდა წინა სააკრედიტაციო შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება.

2021 წლის 29 ივნისს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე. 29 ივნისს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითმეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრება.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების პირველი და მეოთხე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

სწავლის შედეგების რუკა გაიწეროს ისე, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე განვითარდეს.

მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს ცოდნის არეები, რომელიც აუცილებელია პროგრამის დასაძლევად.

გაწერილი იქნას მისაღები გამოცდის თემები შესაბამისი ლიტერატურის მითითებით.

განისაზღვროს საგნებზე დაშვების წინაპირობები.

საგნებში: არარელაციური მონაცემთა ბაზები, დიზაინის ნიმუშების გაღრმავებული კურსი, მონაცემთა ვიზუალიზაცია და ემატოს საგნების შინაარსს თეორიული საკითხები.

საგნებისთვის, რომელთა სწავლება იგეგმება დისტანციურად მკაფიოდ გაიწეროს ელექტრონული სწავლების რომელი მეთოდის გამოყენება მოხდება, როგორი სცენარით და ტექნიკით.

უდს-მ უფრო მეტად გაააქტიუროს მუშაობა სამეცნიერო ბაზებთან სტუდენტების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით. ასევე კონფერენციების და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

მკაფიოდ განისაზღვროს მაგისტრანტის ხელმძღვანელის მოთხოვნები მოწვეული პერსონალისთვის.

აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების მიმართულებით (დაემატოს „ცოდნა და

გაცნობიერების“, არსებობის შემთხვევაში კი, „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ სწავლის შედეგები), რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს.

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა სწავლის შედეგების ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გააქტიუროს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ამ მიზნით დაეგმოს მიზნობრივი ტრენინგები და/ან სამუშაო შეხვედრები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის შედეგების უკეთ გაზომვის მიზნით სასურველია პროგრამის შედეგებში გამოყენებული იქნას მოქმედების გამომხატველი ზმნები არაუმეტეს ორი ზმნისა.

სასურველია ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაცნობისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

გამოიკვეთოს დისციპლინები, რომლებიც უზრუნველყოფენ გუნდურ მუშაობას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ ახალია, შეესაბამება უდს-ს მისიას, მიზნებსა და განვითარების სტრატეგიულ გეგმას, ითვალისწინებს საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციების მოთხოვნებს, და ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის განვითარების ტენდეციებს. მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა.

კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიზანში წარმოდგენილია პირობები მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების შესახებ კომპიუტერული მეცნიერების დარგში, რომლებიც თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერების როგორც ფუნდამენტური კომპონენტების, ისე მთელი რიგი მოწინავე თემების სიღრმისეულ ცოდნას გამოიყენებენ შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში და კვლევების წარმოებაში.

პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული. პროგრამა შემუშავებულია უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობით. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამა საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები

<ul style="list-style-type: none"> ○ ვებ გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ სწავლის შედეგები განსაზღვრულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის მიხედვით და შეესაბამება პროგრამის მიზანს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.</p> <p>პროგრამას გააჩნია 6 სწავლის შედეგი, რომლებიც აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას (თუმცა გამოიკვეთა სწავლის შედეგების მეტ-ნაკლები შეუსაბამობა კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან (იხ. სტანდარტი 5.1)). სწავლის შედეგები მიღწევადი,</p>
--

რეალისტური და მეტწილად გაზომვადია. სწავლის შედეგები იძლევა დასაქმების შესაძლებლობას და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ყოველი საგნის სწავლის შედეგების მიღწევადობის დონის მიხედვით. პროგრამაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის რუკა, სადაც ნაჩვენებია, თუ რომელი სასწავლო კურსით რომელი პროგრამის შედეგის მიღწევა ხდება, **თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამაში წარმოდგენილ რუკაში არ ჩანს თითოეული პროგრამის შედეგისთვის სამივე (1 - გაცნობა 2 - გაღრმავება 3 - განმტკიცება) დონეზე განვითარება.**

უნივერსიტეტში არსებობს „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი“. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებულია ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები და მათ მიერ შესრულებული ნამუშევრების შეფასება და ანალიზი; სტუდენტთა პორტფოლიოს შეფასება; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; სტუდენტური სამეცნიერო და სხვა სახის აქტივობები და სხვა. პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია და სამიზნე ნიშნულები. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი შეფასდება იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განვითარება. თითოეული სასწავლო კურსისთვის მითითებულია კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას (შეფასების ფორმა, მეთოდი და მტკიცებულება). სწავლის შედეგების ანალიზი იქნება გაზიარებული პროგრამაში მონაწილე პერსონალისთვის. ამ პროცესის მიზანია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესება ცალკეული სასწავლო კურსის და მთელი პროგრამის დონეზე. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი დროულად იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს სწავლის შედეგს. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის მითითებულია შემდეგი სამიზნე ნიშნულები - „სწავლის შედეგის მიღწევის დონე მაღალია - 75%; სწავლის შედეგის მიღწევის დონე კარგია - 25%“. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და **სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურა.**

დამსაქმებლები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში. რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები ონლაინ რეჟიმში, ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამაში და კურსების შინაარსში გათვალისწინებული იქნა მათი რეკომენდაციები.

პროგრამის შედეგებთან დაკავშირებით ექსპერტებმა გამოთქვეს შემდეგი მოსაზრება:

პროგრამის შედეგების უკეთ გაზომვის მიზნით სასურველია პროგრამის შედეგებში

<p>გამოყენებული იქნას მოქმედების გამომხატველი ზმნები არაუმეტეს ორი ზმნისა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროგრამა • სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები • საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი. http://dl.sangu.edu.ge/pdf/debulebebi/swashed_shefaseba.pdf
<p>რეკომენდაციები:</p> <p>სწავლის შედეგების რუკა გაიწეროს ისე, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე განვითარდეს.</p> <p>მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>პროგრამის შედეგების უკეთ გაზომვის მიზნით სასურველია პროგრამის შედეგებში გამოყენებული იქნას მოქმედების გამომხატველი ზმნები არაუმეტეს ორი ზმნისა.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა, აღწერილია დაშვების პირობები რომელიც მოიცავს:

- არანაკლებ 5 ECTS კრედიტის არსებობა მინიმუმ საბაკალავრო დონეზე რომელიმე აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში უმაღლესი მათემატიკის მიმართულებით.
- არანაკლებ 5 ECTS კრედიტის არსებობა მინიმუმ საბაკალავრო დონეზე რომელიმე აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში დაპროგრამების მიმართულებით.
- ინგლისურის ცოდნა B2 დონეზე. ინგლისურში გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს ან რომელსაც ინგლისურენოვან პროგრამაზე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტით.
- გამოცდა სპეციალობაში - გამოცდაზე მოწმდება დაპროგრამების ფუნდამენტური კონსტრუქციების და ალგორითმების ცოდნა, ასევე მოწმდება C++-ის და SQL-ის ცოდნა. თუ ჩაბარების მსურველს უდასტურდება C++-ის ცოდნა, მაშინ მას დაკმაყოფილებული აქვს პროგრამაში არსებული სავალდებულო სასწავლო კურსის „არარელაციური მონაცემთა ბაზების“ წინაპირობა. თუ არ დასტურდება C++-ის ცოდნა, მაშინ ასეთ მაგისტრანტს სავალდებულოდ უწესდება სასწავლო კურსი ინტენსიური C++. ასევე, გამოცდის დროს მოწმდება კონკურსანტის ცოდნა SQL-ში.

<p>სათანადო ცოდნის არ დადასტურების შემთხვევაში მას განემარტება, რომ თუ მოისურვებს პროგრამაში არსებული არჩევითი კურსის PL/SQL-ის გავლას, მან წინასწარ უნდა გაიაროს სასწავლო კურსი - „ინტენსიური SQL“.</p> <p>ჩანაწერი განმარტავს ცოდნის არეებს, რომელსაც უნდა ფლობდეს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი, მაგრამ სრულად არ აღწერს რიგ კომპეტენციებს, რომელიც სხვადასხვა საგნების დასაძლევად აუცილებელი. ასეთ საგნებს წარმოადგენენ ძირითადი საგნების უმრავლესობა, რომელთაც არ აქვთ მითითებული წინაპირობა.</p> <p>პროცედურულად პროგრამაზე დაშვების პირობები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს ცოდნის არეები, რომელიც აუცილებელია პროგრამის დასაძლევად. • გაწერილი იქნას მისაღები გამოცდის თემები შესაბამისი ლიტერატურის მითითებით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის

სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და მოცავს ყველა იმ ძირითად პუნქტებს, რომელიც სავალდებულოა ამ მეთოდოლოგიით.

სტრუქტურულად პროგრამის სრული მოცულობა 120 ECTS წარმოდგენილია 90 ECTS **სასწავლო კომპონენტით** (მათ შორის: სპეციალობის სავალდებულო საგნები - 60 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი საგნები - 30 კრედიტი) და **სამეცნიერო კომპონენტი** (სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი). სტუდენტს საშუალება აქვს 60 კრედიტის მოცულობის 12 საგნიდან შეარჩიოს 30 კრედიტის შესაბამისი არჩევითი დისციპლინები.

პროგრამასი წარმოდგენილ სავალდებულო და არჩევით დისციპლინათა აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნიათ წინაპირობა. აქედან გამომდინარე იმის განსაზღვრა თუ რატომ არის საგნების თანმიმდევრობა შემოთავაზებული ასეთი იერარქიით ბუნდოვანია.

თუმცა, პროგრამა თავისი შინაარსით, წარმოდგენილი სილაბუსების შიგთავსისთ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

გასაუბრებისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- განისაზღვროს საგნებზე დაშვების წინაპირობები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი ძირითადი სასწავლო კურსები, მათში აღწერილი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის თითოეული შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს რამოდენიმე საგანი მიღწევადობის სხვადასხვა დონით. საგანთა შინაარსი კრედიტების რაოდენობის და საკონტაქტო საათების გათვალისწინებით შეჯერებულია თითოეულ თემატიკასთან და უზრუნველყოფს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის მიერ მასალის დაძლევისათვის საჭირო დროს. სასწავლო მასალა თანამედროვე და შესაბამისია საგნების შინაარსთან და შედეგებთან. საგნები მოიცავენ როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს. ასევე პროგრამაში არის რამოდენიმე საგანი, რომელშიც მხოლოდ პრაქტიკული კომპონენტებია წარმოდგენილი, კონკრეტული პროგრამული სისტემის სხვადასხვა ფუნქციონალის სახით (არარელაციური მონაცემთა ბაზები, დიზაინის ნიმუშების გადრმავებული კურსი, მონაცემთა ვიზუალიზაცია). პროგრამის სახელწოდების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით სასურველია გამდიდრდეს ასეთი საგნების შინაარსი თეორიული საკითხებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> საგნებში: არარელაციური მონაცემთა ბაზები, დიზაინის ნიმუშების გადრმავებული კურსი, მონაცემთა ვიზუალიზაცია დაემატოს საგნების შინაარსს თეორიული საკითხები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, მას არ ჰყავს სტუდენტი და კურსდამთავრებული ამიტომ ზუსტი შეფასება შეუძლებელია. თუმცა პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას პროგრამაში შემავალი კურსების ფარგლებში. უნივერსიტეტში მოქმედი ზოგადი წესები, სხვადასხვა სამეცნიერო-შემოქმედებითი რეგულარული ღონისძიებები უზრუნველყოფენ სტუდენტების ჩართულობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები ○ ვებ გვერდი

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში წარმოდგენილ სილაბუსებში ყოველი საგნისთვის მოცემულია მრავალფეროვანი სწავლა-სწავლების მეთოდები (მეტწილად ერთიდაიგივე), რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის დონეს, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებს დისციპლინათა თავისებურებებს. თითქმის არცერთ სილაბუსში არაა მითითებული გუნდში მუშაობის უნარების გამომუშავების მეთოდი. გარდა ამისა საგანთა ნაწილის სწავლება დაგეგმილია დისტანციურად, რაც არაა ასახული სწავლა სწავლების მეთოდებში.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია გამოიკვეთოს დისციპლინები, რომლებიც უზრუნველყოფენ გუნდურ მუშაობას. ასევე იმ საგნებისთვის, რომელთა სწავლება იგეგმება დისტანციურად მკაფიოდ გაიწეროს ელექტრონული სწავლების რომელი მეთოდის გამოყენება მოხდება, როგორი სცენარით და ტექნიკით.</p>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- საგნებისთვის, რომელთა სწავლება იგეგმება დისტანციურად მკაფიოდ გაიწეროს ელექტრონული სწავლების რომელი მეთოდის გამოყენება მოხდება, როგორი სცენარით და ტექნიკით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გამოიკვეთოს დისციპლინები, რომლებიც უზრუნველყოფენ გუნდურ მუშაობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გათვალისწინებული სტუდენტის შეფასების სისტემის რეგულაციურ ჩარჩოს ქმნის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მიხედვითაც სტუდენტის შეფასება ხორციელდება სამართლიანად, გამჭვირვალედ და შესაბამისია

კანონმდებლობასთან.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭირვალე, რომლებიც მოცემულია სილაბუსებში. სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალისთვის ცნობილია შეფასების მეთოდები. სილაბუსების ატვირთულია UMS სისტემაში და სტუდენტებისთვის მარტივად ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტში არსებული მარეგულირებელი წესის მიხედვით გათვალისწინებულია შეფასების შედეგების გაანალიზება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტი და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.

სტუდენტები უკუკავშირს იღებენ ზეპირი ფორმით, წერილობითი ფორმით (ქვიზების და დავალებების კომენტარების დროს), Moodle-ის სისტემით საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარების შესახებ, ასევე სწავლის შედეგებთან დაკავშირებით.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილებულია და განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო კურსების გასაჩივრებისთვის არსებობს აპელაციის პროცედურა.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვის და შეფასების ინსტრუქციის მიხედვით. შეფასება წარმოების კომისიური წესით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გარე შემფასებლის და ექსპერტის მონაწილეობა. დაცვა საჯაროა და შესაძლებელია შედეგის გასაჩივრება სააპელაციო წესით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია;
- პროგრამა და სილაბუსები;
- ვებგვერდი www.sangu.edu.ge;
- ელექტრონული მართვის სისტემა UMS;
- კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ინსტრუქცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი, დეკანატი და სკოლის კოორდინატორი სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ. „დასაქმებისა და კარიერული განვითარების“ სამმართველო სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და უწყევს

კონსულტაციებს საჭიროებისამებრ, ეს იქნება CV შედგენა თუ საჯარო ლექციების ჩატარება გასაუბრების ხელოვნებასთან დაკავშირებით.

ინტერვიუების შედეგად სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციას საერთაშორისო კონფერენციების, პროექტების, გაცვლითი პროგრამების და ზოგადად ღონისძიებების შესახებ სოციალური ქსელის და უნივერსიტეტის მართვის სისტემის (UMS) საშუალებით იღებენ. 2019-2020 წელს გაცვლითი პროგრამით 15 სტუდენტმა ისარგებლა, გაცვლითი პრაქტიკით 17, ხოლო საერთაშორისო კონფერენციაზე 1 სტუდენტი იმყოფებოდა. გასაუბრებისას (სტუდენტები/კურსდამთავრებულები) გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ერთ სტუდენტს ჰქონდა ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან დაკავშირებით, თუმცა არ გამოუყენებია.

სტუდენტებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა ესარგებლათ გაცვლითი პროგრამებით, ჩართულიყვნენ კონფერენციებში და სხვადასხვა პროექტებში. მაგრამ მათ ამის სურვილი არ ჰქონიათ, უმეტესი მათგანი კი ადგილობრივ კონფერენციებში მსმენელის სტატუსით იყო წარმოდგენილი.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მოცემულია გასაჩივრების შესაძლებლობა, სტუდენტები აღნიშნავენ რომ იცნობენ ამ პროცედურას და ეფექტიანად უსარგებლიათ.

როგორც აკადემიური, ისე მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვაში/ფუნქცია მოვალეობებში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტებთან ინტერვიუები;
- სილაბუსები;
- ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები დანართი N4;
- აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვებგვერდი www.sangu.edu.ge;
- ქართული უნივერსიტეტის წესდება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საერთაშორისო კონფერენციებზე, გაცვლით პროგრამებზე და პრაქტიკაზე წასული სტუდენტების სტატისტიკა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

რეკომენდაციები:

უდს-მ უფრო მეტად გაააქტიუროს მუშაობა სამეცნიერო ბაზებთან სტუდენტების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით. ასევე კონფერენციების და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი გამოცდილება, მათი გამოცდილება დასტურდება მათი ნაშრომებით, გამოქვეყნებული სტატიებით, გამოცემული წიგნებით და პრაქტიკული საქმიანობით (პირადი საქმეები და განხორციელებული კვლევები).

ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები ასახულია მაგისტრანტის ხელმძღვანელობის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელ დოკუმენტში. სტუდენტების უმრავლესობა ხელმძღვანელთან კომუნიკაციისთვის იყენებენ ელექტრონულ ფოსტას, ასევე მობილურ ტელეფონს და ინტერნეტს, ისინი ინტერვიუებში აღნიშნავენ რომ ხელმძღვანელთან კომუნიკაციის პრობლემა არასდროს ჰქონიათ.

ხელმძღვანელი ვალდებულია:

- რეგულირებული კონსულტაციები გაუწიოს საკვლევ თემასთან დაკავშირებით;
- დამხარება გაუწიოს მაგისტრანტს საკვლევი თემის შერჩევაში;
- ჩაატაროს ინდივიდუალური შეხვედრები საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- მიაწოდოს მაგისტრანტს საჭირო ლიტერატურა და დაეხმაროს მასალების მოძიებაში;
- მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტს გრანტის მოპოვების საკითხში;

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაგისტრის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული პერსონალი (დანართი 6). წარმოდგენილი პირადი საქმეებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი მოწვეული პერსონალი

არის მაგისტრი. მათ გააჩნიათ საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება, თუმცა პირადი საქმეებიდან არ იკვეთება მათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა. ამიტომ სათუთა, რამდენად შეძლებენ ისინი მაგისტრების ხელმძღვანელობას. სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს სამაგისტრო ხელმძღვანელის მოთხოვნები მოწვეული პერსონალისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასება;
- მაგისტრანტთა ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა დანართი N6;
- ხელმძღვანელების პირადი საქმეები და განხორციელებული კვლევები.

რეკომენდაციები:

- მკაფიოდ განისაზღვროს მაგისტრანტის ხელმძღვანელის მოთხოვნები მოწვეული პერსონალისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა		X		

მიღწევები, მათთან ინდივიდუალუ რი მუშაობა				
---	--	--	--	--

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც აერთიანებს, როგორც აკადემიურ ასევე მოწვეულ პერსონალს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით, გამოცემული სამეცნიერო სტატიებით, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობით. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე საკონსულტაციო დატვირთვას.

პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ არის ჩართული 1 პროფესორი 1 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 10-ს. ბალანსი პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ

პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას საგნების გადანაწილებიდან გამომდინარე (ძირითადი, არჩევითი). გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა რომ პირველ წელს ვარაუდობენ 10-15 სტუდენტის მიღებას, რაც ადეკვატურია პროგრამაში არსებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან მიმართებაში; თუმცა უდს-ს ადმინისტრაციამ გასაუბრებაზე აღნიშნა, რომ სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად სამომავლოდ განიხილება აკადემიური აფილირებული პერსონალის დამატება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

პროგრამის ხელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საჭიროებებთან, რაც დასტურდება პროგრამაზე თანდართული პირადი საქმით. პროგრამის ხელმძღვანელი არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: ფაკულტეტის, ბიბლიოთეკის, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურში მომუშავე შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- პირადი საქმეები;
- პერსონალის ფუნქცია/მოვალეობები (დანართი 6);
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი 13).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უდს-ში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობისა და კვლევის ხარისხის შეფასების წესი (http://dl.sangu.edu.ge/pdf/debulebebi/kvix_shef_wesi.pdf), რომელიც განსაზღვრავს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პირობებს, კრიტერიუმებსა და პროცედურებს. ყოველ წლის დასაწყისში, განვლილი წლის შეფასებისთვის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის და კვლევის ხარისხობრივი შეფასების მიზანია, პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა და ამაღლება, პერსონალის მოტივაციისა და შრომითი ნაყოფიერების გაზრდა.

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. მუდმივად ხდება პერსონალის ინფორმირება სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი პროგრამისთვის გამოყოფილია 40000 ლარი, სადაც გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის განვითარების ხარჯები: სამეცნიერო მივლინება უცხოურ უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება, კონფერენციებში მონაწილეობა, შიდა გრანტების, სახელმძღვანელოს დაფინანსება.

უდს-ში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის წახალისების სისტემა. წახალისების ფორმებია: სიგელი, ფასიანი საჩუქარი, მატერიალური წახალისება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა 2021-2023;
- ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობისა და კვლევის ხარისხის შეფასების წესი (http://dl.sangu.edu.ge/pdf/debulebebi/kvix_shef_wesi.pdf);
- პირადი საქმეები;
- საერთაშორისო თანამშროლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ვიზიტისას შეამოწმა კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როგორც დოკუმენტურად, ასევე უშუალოდ ვიზიტით. კერძოდ, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები და სააუდიტორიო სივრცე. უნივერსიტეტს გაჩნია თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა, ყველა სააუდიტორიო ოთახი აღჭურვილია პროექტორით და ყველა სხვა საჭირო რესურსით. კომპიუტერული კლასები აღჭურვილია სათანადო კომპიუტერული ტექნიკით, რომელიც ხშირად ახლდება. ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს მოთხოვნებს და იქ შექმნილი გარემო არის შესაბამისი, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი პერიოდული გამოცემები, ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, როგორც უშუალოდ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან, ასევე უნივერსიტეტის გარედან. უნივერსიტეტში არის სამედიცინო ოთახი, კაფეტერია და სპორტული დარბაზი. უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, გათბობის სისტემებით. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილება არსებულ რესურსებთან და მათ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ ბიუჯეტთან დაკავშირებით მოწოდებული მასალები შეიცავს ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტის ამსახველ დოკუმენტს. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ აქვს, თუმცა სკოლის საერთო ბიუჯეტი მოიცავს კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის ბიუჯეტსაც. ასევე გასაუბრებისას ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის დაფინანსება მოხდება ასევე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდანაც, რადგან წარმოდგენილი პროგრამა მათთვის პრიორიტეტულია და ნებისმიერი რაოდენობის სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში მოხდება პროგრამის დაფინანსება. ძირითადად, ბიუჯეტის სტაბილურობას განაპირობებს სტუდენტთა გადახდები. ბიუჯეტის ფაილში წარმოდგენილია უნივერსიტეტის შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტში გათვალისწინებულია როგორც პედაგოგიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება, ასევე ხარჯები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და

მივლინებისათვის. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია ცენტრალური ხარჯებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ○ ბიუჯეტი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, რომლის ფუნქციებიც მოიცავს: ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემუშავებას; დადგენილი წესის შესაბამისად უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პროცესში მონაწილეობას; საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებებით განსაზღვრული სტანდარტების შესრულების მონიტორინგსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; კითხვარების შექმნასა და გამოკითხვის პროცესის ორგანიზებას, მიღებული შედეგების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი და საშუალოვადიანი გეგმების შესრულების მონიტორინგსა და ცვლილებების განხორციელების საჭიროების შესახებ რეკომენდაციების წარდგენას და სხვ.

უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" პრინციპით მუშაობას. სისტემა ითვალისწინებს ხარისხის მექანიზმის გამოყენებას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ისე მისი შემდგომი განვითარების ეტაპზე.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია „უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კონცეფცია“. დოკუმენტის მიხედვით, უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესში გარდა ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურისა, ჩართულია: სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ბიბლიოთეკა, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის

სამსახური, სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო, ენების ცენტრი და სხვა სტრუქტურული ერთეულები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს: პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული) საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავებას და გამოყენებას; სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მის გამოყენებას; საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავებასა და დაინტერესებული მხარეების (აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.) აქტიურ ჩართულობას; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის და შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებას; უნივერსიტეტის რესურსების და მიწოდებული სერვისების ხარისხის შეფასებას; მიზნობრივი კვლევებს განხორციელებას.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და გაუმჯობესება ხორციელდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. დოკუმენტი წარმოადგენს გზამკვლევს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესში ჩართული პირებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ჩართულობით.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალი ჩართული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში. რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს, გამოიკვეთა მათი შედარებით მცირე ჩართულობა და ინფორმირებულობა პროგრამასთან მიმართებით.

ასევე, ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ბუნდოვნად იცნობს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ერთადერთ მექანიზმად მათი მხრიდან მხოლოდ კითხვარები დასახელდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, შესაძლებელია ამითაც იყოს განპირობებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან პროცესების მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი გააზრება. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები პერსონალისთვის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაცნობის და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის

მიზნით.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შესწავლის შემდგომ, გამოიკვეთა სწავლის შედეგების მეტ-ნაკლები შეუსაბამობა კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან. აღნიშნული შეუსაბამობა არ ეხება სასწავლო კურსების შინაარსობრივ ნაწილს (თემატიკას). აქ საუბარია კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით 3 ნაწილად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) სწავლის შედეგების ფორმულირების სპეციფიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით არსებული მარეგულირებელი ნორმები უშვებენ სწავლის შედეგების გაერთიანებულად (არა სამ შედეგად ჩაშლილი) წარმოდგენის შესაძლებლობას, მათში აუცილებლად უნდა ჩანდეს „ცოდნა და გაცნობიერების“, „უნარისა“ და რიგ შემთხვევებში კი „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ სწავლის შედეგები. წარმოდგენილ პროგრამაში, მის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში (მაგ., „რეფერატი სპეციალობაში“, „სირთულის თეორია“, „დიზაინის ნიმუშების გაღრმავებული კურსი“, „მანქანური სწავლება“, „კიბერუსაფრთხოება - ვებ აპლიკაციები“, „არარელაციური მონაცემთა ბაზები“, „პარალელური დაპროგრამება CPU/GPU-ებზე“, „სერვერული სისტემები“ და სხვ.) უმეტესწილად ძნელად იკითხება „ცოდნა და გაცნობიერების“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ სწავლის შედეგები.

ბუნდოვანია, ჩაუტარდათ თუ არა აკადემიური და მოწვეულ პერსონალს მიზნობრივი ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები სწავლის შედეგების ფორმულირებასთან მიმართებით. ამ მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა უნდა გააქტიუროს მუშაობა.

რაც შეეხება თვითშეფასების დოკუმენტზე მუშაობას, ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა სწავლის შედეგების ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გააქტიუროს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ამ მიზნით დაეგმოს მიზნობრივი ტრენინგები და/ან სამუშაო შეხვედრები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაცნობისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება უნივერსიტეტში ხორციელდება ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რა დროსაც ხორციელდება თვითშეფასებითა და საავტორიზაციო/საკრედიტაციო ვიზიტის

შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება, რაც შემდგომში გამოიყენება პროგრამის განვითარების პროცესში.

წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა შრომის ბაზრის და დამსაქმებლების კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და ამ კვლევაში გამოთქმული რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებმა გამოავლინეს პროგრამასთან თანამშრომლობის მზაობა და დაადასტურეს პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობა.

ინტერვიუებითა და თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ახალ სამაგისტრო პროგრამას არ გაუვლია გარე ექსპერტიზა/კოლეგიალური შეფასება მსგავსი მიმართულების განმახორციელებელი უცხოური ან ქართული უნივერსიტეტის ბაზაზე. თუმცა, პროგრამისთვის დაგეგმილია მუდმივმოქმედი საბჭოს შექმნა, რომლის მიზანია პროგრამის მუდმივი განვითარება და განახლება. აღნიშნულ საბჭოში, გარდა პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტებისა, იქნებიან გარე ექსპერტები, პოტენციური დამსაქმებლები და პროგრამის კურსდამთავრებულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაზრის კვლევის მონაცემები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, ასევე, უზრუნველყოფილია სპეციალური კომისიების მუშაობით.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი“. წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ითვალისწინებს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების იდენტიფიცირებას, შესაბამისი მონაცემების შეგროვებას და მათ გაანალიზებას. სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები; სტუდენტთა მიერ შესრულებული ნამუშევრების შეფასება და ანალიზი; სტუდენტთა პორტფოლიოს შეფასება; სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ ქულათა კორელაცია უნივერსიტეტში მიღებულ შეფასებებთან; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, სტუდენტების რეიტინგული სისტემა; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; კურიკულუმს გარე და სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობები და სხვ.

თვითშეფასების ანგარიშისა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით, პროგრამის მონიტორინგის და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული პირების (აკადემიური და მოწვეული

პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების) მონაწილეობა. ინფორმაციის შეგროვებას სისტემური ხასიათი აქვს, ხოლო ანალიზი ხორციელდება დადგენილი პერიოდულობით, სხვადასხვა მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (სასწავლო კურსების შეფასების მიზნით გამოკითხვები ხორციელდება ყოველი სასწავლო სემესტრის დასასრულს), კურსდამთავრებულთა ყოველწლიური და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, უნივერსიტეტის პერსონალის და სხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების ანალიზი. აგრეთვე, წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში პერიოდულად დაგეგმილია პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.

ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონსულტირებასა და ინფორმირებას სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ და მათ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისათვის. მუხედავად ამისა, წარმოდგენილი სილაბუსები, მათი სწავლის შედეგების ფორმულირებებით, ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს. ეს განსაკუთრებით პრობლემური იქნება პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ეფექტიანი განხორციელებისას. აუცილებელია, შესაბამისი სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების მიმართულებით (დაემატოს „ცოდნა და გაცნობიერების“, არსებობის შემთხვევაში კი, „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ სწავლის შედეგები), რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების მიმართულებით (დაემატოს „ცოდნა და გაცნობიერების“, არსებობის შემთხვევაში კი, „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ სწავლის შედეგები), რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: კომპიუტერული
მეცნიერება, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანი არაბული



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მანანა ხაჩიძე 

ქრისტინე ჩიხლაძე 

კონსტანტინე ებრაღიძე 